

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა ეწოდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო სხვადასხვა საშუალებით ?

ა. ადათი

ბ. მორალი

გ. პოლიტიკა

დ. სამართალი

2. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის:

ა. დემოკრატიული რესპუბლიკა

ბ. სოციალისტური რესპუბლიკა

გ. საპრეზიდენტო რესპუბლიკა

დ. საპარლამენტო რესპუბლიკა

3. რომელი სუბიექტი არ მონაწილეობს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევაში?

ა. პარლამენტი

ბ. პრეზიდენტი

გ. სახალხო დამცველი

დ. უზენაესი სასამართლო

4. ვინ არის უფლებამოსილი შეიწყალოს მსჯავრდებულები საქართველოში?

ა. პრეზიდენტი

ბ. პრემიერ-მინისტრი

გ. პარლამენტის თავმჯდომარე

დ. სახალხო დამცველი

5. რა ეწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე ამომრჩეველთა აზრის გასაგებად ჩატარებულ საერთო სახალხო გამოკითხვას, რომლის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა?

ა. პლემბისციტი

ბ. რეფერენდუმი

გ. სახალხო არჩევნები

დ. სოციოლოგიური კვლევა

6. ქვემოთ მოცემულია სქემა, რომელიც თანმიმდევრულად ასახავს საქართველოს სამართლებრივი აქტების იერარქიას:



რომელი აქტია გამოტოვებული სქემაში?

ა. ნორმატიული სამართლებრივი აქტი

ბ. არანორმატიული სამართლებრივი აქტი


გ. პარლამენტის რეგლამენტი

დ. საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელსაც მიერთებულია საქართველო

7. კონფლიქტის მხარეთა ინტერესებისა და პოზიციების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- ა. პოზიცია არის მოთხოვნები, რომელსაც კონფლიქტის მონაწილენი ღიად გამოთქვამენ, ინტერესი კი მხარეთა რეალური სურვილებია.
- ბ. მხარეთა ინტერესი სრულად ვერ ასახავს მათ პოზიციას, ხშირად მოკამათე მხარეები სწორედ ინტერესების საფუძველზე დავობენ და ერთმანეთს საკუთარ პოზიციას უმაღლავენ.
- გ. ინტერესი არის მოთხოვნები, რომელსაც კონფლიქტის მონაწილენი ღიად გამოთქვამენ, პოზიცია უფრო ფართოა, ვიდრე ინტერესი.
- დ. ინტერესი არის მოთხოვნები, რომელსაც კონფლიქტის მონაწილენი ღიად და საჯაროდ გამოთქვამენ, პოზიცია კი - ის, რაც მხარეებს ნამდვილად სურთ და რაც მათი მიზანია.

8. ჩამონათვლიდან რომელი შეესაბამება სქემის ცარიელ უჯრედს?



- ა. კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის მოდელები
- ბ. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდები
- გ. გადაწყვეტილების მიღების ეტაპები
- დ. აქტიური მოსმენის მეთოდები

9. საქართველოში თვითმმართველობით ორგანოში საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობას იკავებს შემდეგი წესის საფუძველზე:

ა. ირჩევს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა პირდაპირი არჩევნების წესით

ბ. ინიშნება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საკრებულოს თანხმობით

გ. ინიშნება სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის გადაწყვეტილებით

დ. ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავისი შემადგენლობიდან

10. რომელია დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს ხელისუფლების არცერთ შტოს?

ა. ფინანსთა სამინისტრო

ბ. სახალხო დამცველი

გ. უზენაესი სასამართლო

დ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

11. რა ეწოდება ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და რეგულირდება კანონით?

ა. სამოქალაქო ერთობა

ბ. სამოქალაქო საზოგადოება

გ. სამოქალაქო კულტურა

დ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

12. რა არსებითი განსხვავებაა მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებს შორის?

- ა. პროპორციული სისტემის დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს პირდაპირ კანდიდატს, ხოლო მაჟორიტარული სისტემის დროს - პოლიტიკურ პარტიას.
- ბ. მაჟორიტარული სისტემის დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს პირდაპირ კანდიდატს, ხოლო პროპორციული სისტემის დროს - პოლიტიკურ პარტიას.
- გ. პროპორციული სისტემის დროს თითოეული ამომრჩეველი პროპორციულად აძლევს ხმას ცალკეულ კანდიდატს, ხოლო მაჟორიტარული სისტემის დროს - არჩევნების ყველა მონაწილე სუბიექტს.
- დ. პროპორციული სისტემის დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს როგორც კონკრეტულ კანდიდატს, ისე პარტიულ სიას, ხოლო მაჟორიტარული სისტემის დროს კი - მხოლოდ ერთ რომელიმე პარტიას.

13. ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

I. ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხი პირდაპირპროპორციულია სამართლიანად ჩატარებულ არჩევნებზე მოსულ მოქალაქეთა რაოდენობისა.

II. ხელისუფლების ლეგიტიმურობა არის იმის გარანტი, რომ არჩეული ხელისუფლება წინასაარჩევნო დაპირებებს შეასრულებს.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

14. ჩასვით ტექსტში შესაბამისი ცნება:

ერთ-ერთი განმარტებით, ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ დავაკმაყოფილოთ ადამიანთა შეუზღუდავი მოთხოვნილებები _____ რესურსების პირობებში.

ა. მდგრადი

ბ. პირველადი

გ. მრავალფეროვანი

დ. შეზღუდული

15. ჩასვით ტექსტში შესაბამისი ტერმინი:

ეკონომიკურ სიტუაციას, როდესაც ბაზარზე მრავალი მომხმარებლის მოთხოვნას მხოლოდ რამდენიმე მსხვილი სუბიექტი აკმაყოფილებს, _____ ეწოდება.


ა. ოლიგარქია

ბ. მონოპოლია

გ. ოლიგოპოლია

დ. თავისუფალი ბაზარი

16. რა იდეის მატარებელია მოცემული ილუსტრაცია?



ა. რასობრივი თანასწორობა

ბ. გამოხატვის თავისუფლება

გ. გენდერული უთანასწორობა

დ. აღმსარებლობის თავისუფლება

17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:


საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საკუთარ ოფისში სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ლექციათა ციკლი დაგეგმა. დისკუსის დროს განიხილებოდა არაერთი ფილოსოფიური საკითხი, რომელიც არსებული პოლიტიკური თუ სოციალური ვითარების ანალიზს ემსახურებოდა. ერთ-ერთ ლექციაზე მომხსენებელმა იმსჯელა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე და აღნიშნა, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმება სეკულარული სახელმწიფოს შენების პროცესისათვის, შესაძლოა, ხელისშემშლელ ფაქტორად იქნას განხილული.

ამ ფაქტით უკმაყოფილო მოქალაქეთა ჯგუფმა საპროტესტო აქცია გამართა და არ მისცა ორგანიზაციას ლექციების ციკლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ჩამოთვლილი მსჯელობებიდან, რომელი აფასებს მართებულად აღწერილ სიტუაციას?

- ა. აქციის მონაწილეთა მოთხოვნა სავსებით ლეგიტიმურია, რამდენადაც რელიგიური შინაარსის თემების განხილვა სკოლის მოსწავლეებთან არ შეიძლება.
- ბ. არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა აეკრძალოს საქმიანობა, ვინაიდან რელიგიური შინაარსის თემატიკის მოსწავლეებთან განხილვის უფლება მხოლოდ სკოლას გააჩნია.
- გ. აქციის მონაწილეებს აქვთ სრული უფლება გამოხატონ საკუთარი პროტესტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილი სალექციო კურსის მიმართ, მაგრამ მათ არ აქვთ ორგანიზაციის საქმიანობის შეფერხების უფლება.
- დ. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს უფლება სკოლის მოსწავლეებთან განიხილოს ნებისმიერი შინაარსის მქონე თემატიკა და არავის აქვს მსგავსი ორგანიზაციების შეზღუდვის უფლება.

18. მოცემულ სქემაზე ასახულია 2015 წლის საქართველოს და კოლუმბიის სოციალური პროგრესის ინდექსის მაჩვენებლები:



რომელი მსჯელობა შეესაბამება სქემის მონაცემებს?

- ა. ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების მაჩვენებელი გადამწყვეტი ფაქტორია სოციალური პროგრესის მაღალი ინდექსის მისაღწევად.
- ბ. საქართველოს შესაძლებლობების მაჩვენებელი აღემატება კოლუმბიის იგივე მაჩვენებელს.
- გ. საქართველოს სოციალური პროგრესის ინდექსი უფრო დაბალია ვიდრე კოლუმბიის, თუმცა უსწრებს მას ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების მაჩვენებლით.
- დ. კოლუმბიის შესაძლებლობების მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე საქართველოს, თუმცა ჩამორჩება მას კეთილდღეობის საწყისების მაჩვენებლით.

19. თქვენს წინაშეა კვლევის „ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი“ ზოგიერთი

მონაცემი:

- კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება ქართული საზოგადოებისთვის, გამოკითხულთა 69%-მა დადებითად უპასუხა.
- გამოკითხულთა 55%-ს არასოდეს უმუშავია მოხალისედ. მათ შორის, 71%-მა განაცხადა, რომ ისურვებდა მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებას.
- იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი არ ისურვებდნენ მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებას, ამის მთავარ მიზეზად საკმარისი დროის უქონლობა დაასახელეს (51%).

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა. გამოკითხულთა დიდ ნაწილს არასდროს უმუშავია მოხალისედ და არც გააჩნია მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილი.
- ბ. გამოკითხულთა უმრავლესობა დროის სიმცირის გამო ვერ მონაწილეობს მოხალისეობრივ საქმიანობაში და არც თვლის ამგვარ საქმიანობას მნიშვნელოვნად.
- გ. გამოკითხულთა უმრავლესობას არ აქვს სურვილი მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის, რის მიზეზედაც საკმარისი დროის უქონლობას ასახელებს.
- დ. გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით, მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის, თუმცა უმეტესობას არ უმუშავია მოხალისედ.

20. გაეცანით ამონარიდს საგაზეთო სტატიიდან, გაანალიზეთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია ფაქტი, რომელი მოსაზრება და უპასუხეთ კითხვას:

X ქვეყნის ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო. ეს გარე და შიდა ფაქტორებით არის განპირობებული: საერთაშორისო ბაზარზე გაიზარდა ნავთობის ფასი და აშშ დოლარის კურსი ოთხი პუნქტით დაეცა, ხოლო ქვეყნის შიგნით გამკაცრდა მონეტარული პოლიტიკა. ექსპერტების აზრით, თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, ეროვნული ვალუტა კვლავ განაგრძობს გამყარებას და ამან საგარეო ვაჭრობის წახალისება უნდა განაპირობოს.

იმავე ექსპერტების ვარაუდით, შესაძლებელია პროდუქტზე ფასების 3-5%-იანი კლება, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმპორტიორების მიერ დადებული კონტრაქტები და გარიგებები მანამდე განხორციელდა, ვიდრე ეროვნული ვალუტის კურსი გამყარდებოდა (მიწოდებას ხომ გარკვეული დრო სჭირდება). ამასთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმპორტიორთა მოლოდინები კურსთან დაკავშირებით და მათ მიერ წარსულში გაწეული მაღალი სავალუტო კურსით გამოწვეული ხარჯები. ამიტომ კურსის გამყარების ფასებზე ასახვას გარკვეული დრო დასჭირდება.

ტექსტიდან გამომდინარე რომელი წინადადება წარმოადგენს ფაქტს?

- ა. ეროვნული ვალუტა მომავალშიც განაგრძობს გამყარებას.
- ბ. საგარეო ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა.
- გ. პროდუქტის ფასი 3-5%-ით გაიზარდა.
- დ. აშშ დოლარი გაიზარდა.

21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:

„საკუთარი შეხედულების სხვების შეხედულებებთან შეჯერებით შესწორებისა და შევსების მყარ ჩვევას არათუ ეჭვი და მერყეობა არ შეაქვს მის პრაქტიკულ გამოყენებაში, არამედ ერთადერთი მტკიცე საფუძველია მის მიმართ ნდობის გამართლებისთვის. მართლაც, თუ ადამიანმა გაიგო ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას და ყველა მოწინააღმდეგის საპირისპიროდ თავის პოზიციაზე რჩება - რადგან იცის, რომ თავს კი არ არიდებდა შეკამათებებსა და სიძნელეებს, არამედ თავად ეძებდა მათ; რომ არ დაუხშვია არც ერთი წყარო, რომლისგანაც შეიძლებოდა შუქი მოჰფენოდა საკითხის რომელიმე მხარეს - მას აქვს უფლება, იფიქროს, რომ მისი შეხედულება სჯობს ნებისმიერი სხვის, რაგინდ ბევრის, შეხედულებას, რომელსაც მსგავსი პროცესი არ გაუვლია.“

ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873


ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. დისკუსია არაპროდუქტიულად შეიძლება იქნას მიჩნეული, თუკი მისი ყველა მონაწილე დისკუსიის ბოლოს თავის პირვანდელ პოზიციაზე რჩება.
- ბ. საკუთარი მოსაზრების სისწორეს განსაზღვრავს სუბიექტი, რომელიც საკუთარი მსჯელობით ადგენს მსჯელობის მართებულობას.
- გ. უმრავლესობის შეხედულება ლოგიკურად უფრო მართებულია, ვინაიდან უმრავლესობის მიერ არის გაზიარებული.
- დ. ადამიანი უნდა იყოს ღია მისი მოსაზრების საპირისპირო პოზიციის მოსასმენად, თუკი სურს საკუთარი მოსაზრების სისწორეში დარწმუნება.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია რუკა, რომელიც ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში მოქალაქეთა ქველმოქმედებისა და ნებაყოფლობით საქმიანობებში ჩართულობის დონეს (დაბალი ინდექსი ჩართულობის მაღალ დონეს აღნიშნავს). გაეცანით რუკას და უპასუხეთ კითხვებს:



1. ავსტრალია; 2. აშშ; 3. ინდოეთი; 4. ჩინეთი; 5. რუსეთი; 6. მექსიკა; 7. გერმანია; 8. იტალია;
 9. ახალი ზელანდია; 10. მონღოლეთი; 11. საქართველო; 12. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა;
 13. გაერთიანებული სამეფო; 14. ეგვიპტე; 15. ესპანეთი;

22. რუკის თანახმად, გაერთიანებულ სამეფოში მოქალაქეთა ქველმოქმედებისა და ნებაყოფლობით საქმიანობაში ჩართულობის დონე არის:

ა. ძალიან მაღალი

ბ. საშუალო

გ. საშუალოზე დაბალი

დ. დაბალი

23. დავალებაში ქვეყნები დაჯგუფებულია ლეგენდის მონაცემების მიხედვით. რომელ ჯგუფში აქვთ ქვეყნებს განსხვავებული ინდექსი?

ა. ჩინეთი, რუსეთი, საქართველო

ბ. ავსტრალია, აშშ, ახალი ზელანდია

გ. გაერთიანებული სამეფო, მექსიკა, ინდოეთი

დ. გერმანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მონღოლეთი

24. რომელი მსჯელობა არ შეესაბამება რუკის მონაცემებს?

მოქალაქეთა ქველმოქმედებისა და ნებაყოფლობით საქმიანობებში ჩართულობის დონე:

ა. ესპანეთში უფრო მაღალია, ვიდრე ეგვიპტეში

ბ. რუსეთში უფრო დაბალია, ვიდრე მონღოლეთსა და ინდოეთში

გ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში

დ. მექსიკაში უფრო დაბალია, ვიდრე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

25. დაადგინეთ შესაბამისობა ხელისუფლების შტოებსა და მათ უფლებამოსილებებს შორის:

I. უფლებამოსილებები	II. ხელისუფლების შტოები
<p>ა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა</p> <p>ბ. სახელმწიფო ორგანოებს შორის არსებული დავების განხილვა</p> <p>გ. სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა</p> <p>დ. მთავრობის საქმიანობის კონტროლი კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში</p> <p>ე. გადასახადების აკრეფა</p>	<p>1. საკანონმდებლო</p> <p>2. სასამართლო</p> <p>3. აღმასრულებელი</p>

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება **N26**. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი კანონი - დეკლარაცია აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს მოქალაქეებს აქვთ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება, რომელიც სოციალურ-კულტურულ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან. აღნიშნული უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას ხმა მისცეს, აირჩიოს მისთვის სასურველი საარჩევნო სუბიექტი. ამ უფლებით ვერ სარგებლობს პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუნარიანად არის ცნობილი. ასევე, ამ უფლებით ვერ სარგებლობს პირი, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში (გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული).

არსებობს, ასევე, აქტიური საარჩევნო უფლება, რომელიც უკავშირდება საქართველოს მოქალაქის შესაძლებლობას არჩეულ იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე. აღნიშნული უფლების

[გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე](#)

წარმოსაშობად დადგენილია სხვადასხვა ასაკი და მოთხოვნები. საქართველოს პრეზიდენტის არჩევისათვის აუცილებელია არჩევნების ჩატარების დღისთვის საქართველოს მოქალაქეს შესრულებული ქონდეს 30 წელი. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პროფესიულ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მესამედზე მეტმა.

გარდა უფლებებისა საქართველოს მოქალაქეს აქვს ვალდებულებები, როგორცაა გადასახადების გადახდა. ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოში ისეთი გარემო, სადაც დაცული იქნება მოქალაქეთა უფლებები. მაგალითად, მოქალაქეებისათვის სავალდებულო დაწყებითი და საშუალო განათლების მიღება.

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ნაფიცი მსაჯული, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (N27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს.

დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 27


<p>პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი</p>	<p>გარემოს დამცველთა კვლევების შედეგებით ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური მასალები საფრთხეს უქმნიან ეკოლოგიურ გარემოს, რადგანაც მათ დაშლას ესაჭიროება ბევრად მეტი დრო, ვიდრე ბუნებრივ ნარჩენებს. განსაკუთრებით იკვეთება პოლიეთილენის პარკებისა და პლასტმასის ნარჩენების მავნე გავლენის მზარდი ტენდენცია, რაც თანამედროვე ცხოვრებაში მსოფლიოს საერთო პრობლემა გახდა. სკოლაში გარემოს დაცვის საკითხებში მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა მათი ცოდნისა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი.</p>
<p>პროექტის მიზანი</p>	<p>მავნე ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების პრევენციის ხელშეწყობა სკოლის მოსწავლეთა გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების გზით.</p>
<p>პროექტის ამოცანები</p>	<p><i>(დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)</i></p> <p><u>I. ამოცანა:</u></p> <p><u>II. ამოცანა:</u></p>
<p>განხორციელების გზები</p>	<p><i>(დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)</i></p> <p><u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u></p> <p><u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u></p>

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (N28)

ყურადღებით შეისწავლეთ დავალებაში მოცემული ილუსტრაცია. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 28



28.1 რისი სიმბოლო შეიძლება იყოს ილუსტრაციაზე გამოსახული კიბე.

28.2 რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

28.3 იმსჯელეთ, ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (N29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 29

სავალდებულო სამხედრო სამსახური

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომელიც ავალდებულებს ქვეყნის მოქალაქეებს სამხედრო სამსახურის გავლას. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური მსოფლიოს მრავალ ქვეყნის მიერ გამოყენებული პრაქტიკაა, მაინც არსებობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აუცილებელია მსგავსი სამსახურის გავლა/არსებობა.

- 29.1** დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რომლითაც ნათელი გახდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მომხრეთა პოზიცია;
- 29. 2** დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რომლითაც ნათელი გახდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა პოზიცია.

ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (N30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომელსაც ახლავს, როგორც არჩევითპასუხიანი, ისე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალემა **N 30** გაეცანით წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს:
წყარო N1



მაიმუნის წვრთნა ცირკში

წყაროებზე გადასვლა: [N2](#) [N3](#) [N4](#)

დავალეებზე გადასვლა: [30.1](#); [30.2](#) [30.3-30.7](#)


წყარო N2

„პრობლემა ის არის, რომ ადამიანის მიერ მსოფლიოს დაპყრობამ თავად დედამიწა გააჩანაგა. და ჩვენს მიერ მოპოვებული ყველა ოსტატობის მიუხედავად, ჩვენ ის არასაკმარისად გვაქვს, რომ მსოფლიოს გაჩანაგება შევაჩეროთ, ან ის ზიანი მაინც გამოვასწოროთ, რაც უკვე მივაყენეთ მას. ჩვენ შხამი ისე ვანთხიეთ მსოფლიოში თითქოს ის უძირო ორმო ყოფილიყოს. ჩვენ დავეწაფეთ შეუცვლელ რესურსებს ისე, თითქოს ისინი არასდროს გათავდებოდნენ - და ახლაც ვშთანთქავთ მათ. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ გადაურჩება მსოფლიო ამგვარი ძალადობის კიდევ ერთ საუკუნეს, მაგრამ მაინც არავინ არაფერს აკეთებს ამის შესაჩერებლად. ეს არის პრობლემა, რომლის გადაჭრაც ჩვენს შვილებს ან მათ შვილებს მოუწევთ.“ დენიელ ქუინი, „ისმაელი“

წყარო N3

„ადამიანებს არანაირი ფუნდამენტური ნაკლი არ გააჩნიათ. თუკი ისინი ისეთ ამბავს აღასრულებენ, რომელიც მათ მსოფლიოსთან ჰარმონიაში ამყოფებს, ისინი მსოფლიოსთან ჰარმონიაში იცხოვრებენ. მაგრამ თუკი ისეთ ამბავს აღასრულებენ, რომელიც მათ მსოფლიოსთან წინააღმდეგობაში ამყოფებს, მაგალითად ისეთს, როგორც არის თქვენი ამბავი, მაშინ ისინი მსოფლიოსთან წინააღმდეგობაში იცხოვრებენ. ისეთ ამბავს თუ აღასრულებენ, რომელშიც ისინი მსოფლიოს ბატონები არიან, მაშინ ისინი იცხოვრებენ, როგორც მსოფლიოს ბატონები. და თუკი ისეთ ამბავს აღასრულებენ, რომელშიც მსოფლიო მათი მტერია, რომელიც დაპყრობილ უნდა იქნას, ისინი მას დაიპყრობენ, როგორც მტერს და ერთ მშვენიერ დღეს, გარდაუვალია, რომ მათი მტერი მათ ფეხქვეშ გაეფინება, სისხლისგან დაცლილი. ისე, როგორც დღეს მსოფლიოა მათ ფეხქვეშ გაფენილი.“ დენიელ ქუინი, „ისმაელი“

წყარო N4



წყაროებზე გადასვლა: [N1](#) [N2](#) [N3](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1;](#) [30.2](#) [30.3-30.7](#)

30.1 რა არის N 2 წყაროს მთავარი სათქმელი?

- ა. დედამიწის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება მას ანადგურებს, თუმცა ადამიანი დიდ ძალისხმევას ხმარობს ზიანის მინიმალიზაციისათვის.
- ბ. დედამიწის რესურსების მოხმარება უნდა შეწყდეს, რათა დედამიწას ზიანი არ მიაღდეს.
- გ. ადამიანს საკმარისი ოსტატობა აქვს, რათა ბუნების გაჩანაგება შეაჩეროს, მაგრამ სათანადო ინიციატივას არ იჩენს.
- დ. ზიანი, რომელიც დედამიწას ამ მომენტისათვის მიაღდა, ძალიან მძიმეა და სამწუხაროდ, დღევანდელი თაობა საკმარის ძალისხმევას არ იჩენს მის გამოსწორებაზე.

წყაროებზე დაბრუნება: [N1](#) [N2](#) [N3](#) [N4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.2](#) [30.3-30.7](#)

30.2 რა არის N3 წყაროს მთავარი სათქმელი?

- ა. თუკი ადამიანი საკუთარ დამოკიდებულებას შეცვლის, მას შეუძლია ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება.
- ბ. ადამიანს უწევს მსოფლიოსთან ბრძოლა, ვინაიდან სხვანაირად ის ვერ შეძლებს ამ პლანეტაზე არსებობას.
- გ. ადამიანი ჰარმონიაშია ბუნებასთან, ვინაიდან ის თავად არის ბუნების ნაწილი და სხვანაირი ცხოვრება არაბუნებრივი იქნებოდა.
- დ. ადამიანი ბუნების ბატონია და ეს კანონზომიერი მოვლენაა, რამდენადაც ის ყველაზე განვითარებული არსებაა პლანეტაზე, რაც მას აძლევს სხვა არსებებზე ბატონობის უფლებას.

წყაროებზე დაბრუნება: [N1](#) [N2](#) [N3](#) [N4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1;](#) [30.3-30.7](#)

- 30.3** აღწერეთ და იმსჯელეთ N1 წყაროზე გამოსახულ სამივე ილუსტრაციაზე ისე, რომ შეიქმნას ერთიანი საზრისი.
- 30.4** ახსენით N 1 წყაროთი გადმოცემული პრობლემა N4 წყაროს პირველი ილუსტრაციის საშუალებით;
- 30.5** N4 წყაროს პირველ ილუსტრაციაში ქალის ფიგურა მამაკაცის ფიგურაზე დაბლა დგას. როგორ ფიქრობთ, რატომ?
- 30.6** იმსჯელეთ N4 წყაროს მეორე ილუსტრაციის მიხედვით, რა შეიძლება იყოს წყაროებით გადმოცემული პრობლემების მოგვარების საშუალება?
- 30.7** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია წყაროებში განხილული საკითხი საქართველოს რეალობისთვის? მოიყვანეთ მაგალითები.